

# შინაური საქმეები



№ 30.

კვირა, ნოემბერი 8, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

აღმსნი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უოველკვირეული გაზეთი.

**შინაარსი:** მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უცვლადებას და საჩიო ცხოვრების არსებობას — სანაწინააღმდეგო; გაბრიელ ეპისკოპოსის სახეს — ივერიელისა; აირია მონასტერი ხელისა; რას აკეთებს ბერი? — ალექსი ირისა; მოდა — ქაინოსრო გელოვანისა; რას ამბობენ შესანიშნავი აღამიანები ბიბლიის შესახებ? — ასა; პროვინცია — სპრტატი ა; კვირიდამ კვირობამდე.

უოველკვირეულ გაზეთ  
**„შინაურ საქმეებს“**  
 ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაძო — გაზაქოვის შესახვევში № 17) და საკუბრეო საბჭოში.  
 წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.  
 გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად უოველგვარ განცხადებებს.  
 დარჩენ. № 18 ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ღ 50 კ.

◆◆ **სტამბა** ◆◆  
 იმერეთის წმ. გიორგის სარწ. — განმანათ.  
**„ქობულისა“**  
 ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშვილის სახლში, გუბერნატ. კანტელიანის ქვეშ,  
 ღებულობს უოველგვარ სასტამბო საქმეებს  
 — სელ-მისაწდომ დასაბეჭდა —  
 ასრულებს სუფთად ღ თავის დროზე.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უცვლადებას და საჩიო ცხოვრების არსებობას.

თუ სადმე სევასტოპოლის გმირი გვაულებათ, დაუხედეთ მაგიდაზე, და პირველ ადგილზე დაინახავთ ფართე რვეულს წარწერით: „На бастионахъ Севастополя“; ეს გახლავთ მოგონებანი სევასტოპოლის გმირის ბ. პ. ჟალოვსკისა. ბევრი შემადრწუნებელი და აღმშოთებელი ამბებია მოთხრობილი სევასტოპოლის ომიდგან. სევასტოპოლელისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს რვეული, იგი თვეში ერთხელ მაინც წაიკითხავს მას. მეც შემთხვევით ხელში ჩამივარდა ერთი ასეთი რვეული ბ. ჟალოვსკისა, რომელშიდაც ამოვიკითხე ქვემო-მოყვანილი ამბავი. ამ ამბავს მით უფრო მნიშვნელობას ვაძლევ ჩვენი მიზნისთვის, რომ ვფიქრობ, ბ. ჟალოვსკის არაფერი აიძულებდა გამოეგონებია იგი რაიმე მიზეზისთვის ვინმეს რამეში დასარწმუნებლად. მეორე მხრით ეს ამბავი მით უფრო შესანიშნავია, რომ მას ისეთ დროს მიუქცევია საზოგადოების ყურადღება, როცა, როგორც ჩვენში იტყვიან, ქვეყანა იქცეოდა. აი ეს ამბავიც (ამბავი გამოკრებით მოგვყავს და ბევრ წრელმანებს ვტოვებთ).

სევასტოპოლის ალყის დროს კაპიტან-ლეიტენანტის პეტრე ბარეცკის საზღვაო რაზმში მსახურებდა ერთი ახალ-გაზდა მებრძოლი, მიჩვანი ალექსანდრე ივანეს ძე რევინი. ამ

ახლგაზდა აფიცერს თავის საკუთარი პატარა სახლი ჰქონდა სევასტოპოლში, სადაც მოთავსებული ჰყავდა თავის დანიშნული ვერა (გვარს არ ვაცხადებ, ამბობს ბ. ჟაღოვსკი). ახლგაზდა შეყვარებული, როცა კი დროს იშოვნიდა და სესაქურს თავს დაახწევდა, დანიშნულთან გაეშურებოდა ხოლმე და საყვარელ არსებასთან რამოდენიმე წუთით ივიწყებდა იმ ჯოჯოხეთს, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა.

ბარეცკის უყვარდა ახლგაზდა მიჩმანი, რევინიც პატრეს ცემდა მას და უყვარდა იგი, მაგრამ ცოტა კიდევ ეშინოდა, ამიტომ მთლად გულახდილი არ იყო მასთან და ვერას სიყვარულზე გვევრიტ ქონდა მოხსენებული მისთვის.

მ იენისს შუადღისას რევინი შინ მოვიდა, მაგრამ ჩვეულებრივი მხიარულება არ ეტყობოდა. ვერამ შენიშნა ეს. შეყვარებულეზმა დიდხანს ილაპარაკეს. ბოლოს რევინიმ საათს შეხედა და წასვლა დააპირა.

— განა ასე ადრე მტოვებ? უთხრა ვერამ.

— რა გქნა, ჩემო კარგო, მოვალეობა ასე მაწვევს, მიუგო რევინი, უნდა წავიდე.

— კი, მაგრამ სიყვარული რომ მოვალეობაზე მაღლა სდგას?

— არა, ჩემო ძვირფასო, მოვალეობა და პატრივი ყველაფერზე დიდია, მათ ყველაფერი უნდა შეეწიროს სხვერპლად, სიცოცხლემც, ბედნიერებაც და სიყვარულიც.

— დიახ, ეს ქეშმარიტებაა, რომელსაც მზათა ვარ ყველაფერი, ყველაფერი სხვერპლად შეგსწირო. — ყური მიგდღე, რა გითხრა, ალექსანდრე, წარმოსთქვა ქალმა მედგარი და მშვიდობიანი ხმით...

— რაც უნდა მითხრა, ჩემო ძვირფასო, ჩემთვის სანახსოვრო იქნება და მიღწევს გულამდის.

— მე შენ ცოტა რამეს გეტყვი ან, უკეთ რომ ესთქვათ, გთხოვ ცოტა რამეს: თუ ვინიცოტაა სისიკვდინეთ დაიქრა, მომეცი სიტყვა,

რომ იმ შენთვის საბედისწერო წამში მომიგონებ და ილოცავ ჩემთვის. \*)

— რა უცნაური თხოვნაა, ვერა! წილაპარაკა რევინიმ და გაკვირვებით დაუწყო ყურება დანიშნულს.

ის ეძებდა ქალის სახეზე სიგიჟის ნიშნებს, მაგრამ იგი სრულიად დამშვიდებული იყო, მხოლოდ ჩვეულებრივზე უფრო მკრთალი და დინჯი.

— ჰა, მაძლევ თუ არა სიტყვას, ალექსანდრე? ჰკითხა ვერამ გადაკრით.

— გაძლევ და ვფიცავარ ჩემს შენდამი სიყვარულს! მაგრამ გთხოვ, ვერა. თუ ღმერთი გწამს, ნუ აძლევ ნებას დამაღონებულ აზრებს, ერთდღე ბნელ წინასწარ გრძნობას, არამედ ილოცე და იმედი იქონიე.

— დავიჩოქოთ მაშ და ვილოცოთ! სთქვა ქალმა.

ვერა და რევინი დაეშინენ მაცხოვრის ხატის წინ და რამოდენიმე წუთი გაატარეს ლოცვაში. შემდეგ ვერამ ჯვარი გადასახა თავის საქმროს, მოეხვია და უთხრა სავარძელზე ჩვენებით, რომელიც ფანჯარასთან იდგა:

— აქ გიცილი შუალამედის და ვილოცავ შენთვის.

რევინი გაუხსლტა ხელიდან დანიშნულს და საჩქაროდ გავიდა სახლიდან.

დაჰკრა ლამის თერთმეტი საათი, რევინი არსად სჩნდა. ქალს მღელვარება დაეტყო; ორჯერ-სამჯერ გამოვიდა პატარა ეზოში; შემდეგ ეზოს კარებიდან გაიხედა, მოღის თუ არა მიჩმანიო. მაგრამ მიჩმანი არსად იყო. ვერას შიში მოერიო და შინისკენ გაეშურა. აქ ხელსაქნარი აიღო, რომ გართობოდა, მაგრამ ერთ წუთს შემდეგ იგი ხელიდან გაუვარდა, რამდენჯერმე გამოვიდა იგი ეზოში და ქუჩაში, მაგრამ ამაოდ, მიჩმანი ვეიანობდა.

\*) უნდა შევნიშნოთ, რომ ვერა როგორც მოთხრობიდან სჩანს, უპატრონო ქალი იყო და ერთათ ერთი ცხოვრების იმედი რევინიდა დარჩენიდა.

სანმანიანი.

საათში თორმეტი დაჰკრა, და ჯერ კიდევ თითქმის არ შემწყდარიყო უკანასკნელი ხმა ზარისა, რომ ვერამ იგრძნო რაღაც განსაკუთრებული, რომელმაც შეაშფოთა მისი არსება. გული ძალზე უძგერდა. იგი ადგა და საწოლ ოთახში გავიდა, რომ ელოცნა. დაიჩოქა თუ არა, ვერას უკანიდგან მოესმა ნაცნობი საყვარელი ხმა. ქალი ფეხზე წამოვარდა, მის წინ იდგა რევინი, ქულ დახურული და შავი ხელსახოცით სახე შეხვეული.

— უჰ, რა გვიან მოხველ, ჩემო მეგობარო! გული შემიღონა შენმა მოლოდინმა, წამოიძახა ქალმა და მივარდა მოსახვევად.

— ნუ შემეხები მე, ვერა, ნაღვლიანად წარმოსთქვა მიჩმანმა და იქით გასწია დანიშნული.

— ღმერთო ჩემო! შენ დაქრილი ხარ?! სასოწარკვეთილებით წამოიძახა ქალმა და დაბარბაცდა.

— ჰო, მე მიძიმეთ დავიჭერ, და მივლივარ ეხლა დიდ ექიმთან, რომელიც ჰკურნებს ყოველსა სნეულებასა და ყოველსა უძღურებასა. მაგრამ ყური მიგდევ, მე მოვედი შენთან, ვანაგრძო რევინიმა წყნარი და ნაღვლიანი ხმით, მე მოვედი შენთან, რომ რამოდენიმე სიტყვა გითხრა.

ელდანაცემმა ვერამ შეხედა თავისსაქრძოს და მის შინელზე შენიშნა სისხლის მსხვილი წინწყლები. ღონე მიხდილი იგი დაეშვა სკამზე და თვალს არ აშორებდა მას, უნდოდა გაერჩია მიხი პირისახე, მაგრამ შავი სახვევი და თვალეზე ჩამოფარებული ქუდი უშლიდა. დაენახა მიჩმანის სახის გამომეტყველება.

— მიყურე, ვერა ხვალ, შენ ჩემი ავთომყოფობის ამბავს მოგიტანენ, და ამიტომ დაინახსოვრე ჩემი სიტყვები:—ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას—ეს დიდი და მძიმე ცოდვა საბოლოოთ ღუპავს ადამიანის სულს. იცოდე, რომ მე კარგად და მხიარულად ვიქნები სულით, თუ შენ ილოცავ ჩემთვის და იმედს იქონიებ ნახვისას, რომლის შემდეგ მოხდება ჩვენი საუკუნო შეერთება. ხოლო თუ შენ თავი მწუხარებას მიეცი, ჩემთვის ძალიან

სამძიმო იქნება და ჩვენი შეყრაც შეიძლება არ მოხდეს.

სთქვა თუ არა ეს, რევინი მივიდა მაგიდასთან, აიღო ერთი ფურცელი ქაღალდი, ჩაუწო კალამი და დაიწყო წერა. როცა გაათავა, მივიდა დანიშნულთან, რომელიც ჯერ ისევ სკამზე იჯდა.

— მშვიდობით, ვერა, წაილაპარაკა რევინიმა—მე ვიქარი, ნაბრძანები მაქვს, განსაწმედელ ადგილზე უნდა გამოვცხადდე.

აქ მან უზღულზე აკოცა თავის საცოლოს, და სანამ ქალი დაიძახებდა, მიჩმანი დერეფანში გამოვიდა და გაჰქრა. ვერა, როგორც შეშლილი, ველური კივილით გამოუდგა საქმროს და გამოვარდა გარეთ—ეზოში; მაგრამ აქ ბნელოდა და არავინ სჩანდა; იგი გავარდა ეზოს გარეთ, მირბოდა ქუჩაში და თან ეძახდა საქმროს, დაბრუნებულიყო, მაგრამ მხოლოდ ცარიელი ნანგრევები იხმოზდენ მის ძახილს და შორეული, ბომბების ყრუ ხეთქა ანძრევდა ჰაერს და არღვევდა ღამის სიჩუმეს. დაიღალა, დაიტანჯა საცოდავი ბევრი რბენით და სახლების ნანგრევებზე ფეხის წამდა უწუმ წამოკვრით; შემდეგ შედგა, მიიხედ მოიხედა და იგრძნო, რომ შორს წასულიყო; გაითვალისწინა თავის მდგომარეობა და წყნარის ნაბიჯით დაბრუნდა შინ. ისევ თავის ოთახში შევიდა, მაგრამ ძლიერ სულიერ მღელვარებათა მთელმა რიგმა შეაყრია ნაზი სხეული, და ვერას, ჩაჯდა თუ არა სავარძელში, გული წაუვიდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ოთახში მოსამსახურე ქალი შემოვიდა და მოუარა, როგორც შეეძლო. ნახევარ საათს უკან ვერა გამოერკვა და, რომ დაინახა თავის მოსამსახურე, სუსტი ხმით ჰკითხა, მიჩმანი ხომ არ დაბრუნდაო. მან უარი უთხრა, მაგრამ მის დასამშვიდებლად დაუმატა: უთუოდ მალე დაბრუნდებო. მეტმა მწუხარებამ და სულიერმა მღელვარებამ ძილად მიავლო საბრალო ქალი. მეორე დილას ვერამ რვა საათზე გაიღვიძა; ძილმა გაამაგრა მისი სხეული, მაგრამ სული კიდევ უკენესოდა და გული ეხუთებოდა რაღაც უბედურების მოლოდინით. ძლიერ

ერთი ფინჯანი ყავა დალია და ის იყო ფორტოპანისკენ მიიწია გასართობათ, რომ მოახლემ შემოუტანა პატარა ბარათი.

— ვისგან არის ეს თედოსია? ჰკითხა ვერამ და თან ბარათს დაუწყუო ხსნა.

— მატროსმა მოიტანა, მეზღვაურ კაპიტანისაგან არისო, დამავიწყდა, რაღაც გვარი სუქვა.

ვერამ გახსნა ბარათი და ჯერ ხელმოწერილი წაიკითხა, — ბარათი კაპიტან-ლეიტენანტის ბარცკისგან იყო. იქ მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა ეწერა, აი ეს სიტყვები: „მოწყალეო ხელმწიფავ, ვერა ალექსეევნა! თუ თქვენ ქეშმარიტი ქრისტიანი ხართ, უთუოდ გრწამთ, რომ უღფთოდ ერთი თმაც არ დავარდება კაცის თავიდან. თქვენი საქრმო მოიკლა გუშინ კერძო ბრძოლაში (თარეშობაში), სწორედ ღამის 12 საათზე, როგორც გადმოძკა მეორე მისთან მყოფმა ჩვენმა აფიცებმა. იგი მოკვდა მეომრის პატიოსანი სიკვდილით, და ეს კი სახარბიელო სიკვდილია! როცა გნახეთ, დაწვრილებით გეტყვი, ეხლა კი სამშობლოს მტრების წინ ვდგევარ და ვემზადები წარვსდგე მეორე, უმაღლეს სამსჯავროს წინაშე. თქვენი და სხვ.“

კითხვის დასაწყისში ქალი დაბარბაცდა კინადამ უგრძობლად დაეცა, მაგრამ უეცრად მის სულში სასწაული მოხდა; იგი გაიმართა წელში, ერთი წუთით ხელით პირი დაიფარა, შემდეგ მშვიდობიანად ჩაიკითხა ბარათი. უბრძანა თუარა მოახლეს მატროსის მძღობით გასტუმრება, ვერა გაბედული ნაბიჯით შევიდა ოთახში, მივიდა სტოლთან, ნახა დაწვრილი ქალაღდის ფურცელი, რომელზედაც რევენმა რაღაც დაწერა თავის უკანასკნელ წასვლის დროს. ქალმა აიღო ხელში ქალაღდი და მაშინვე იცნო საქმროს ხელი. მან ორივე ხელი წაივლო თავზე, თითქოს რაღაც აუტანელმა ტკივილმა მოქაჩა მისი ტვინიო. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ ღონეზე მოვიდა და რაღაც გაუგებარი ენერგიით დაიწყუო კითხვა. ეს რაღაც ანდერძის მსგავსი იყო. აი მისი შინაარსი:

„სახელისა მისისათვის, ვინც ყოველივე შექმნა, ვინც არის სული სიკოცხლისა და სამარადისო სახიერება, შესრულებულ იქმნეს ჩემი უკანასკნელი, და უკვე სიკვდილს შემდეგი სურვილი. ყველაფერი, რაც კი მეკუთვნოდა მე სიკოცხლეში, რჩება ჩემი დანიშნულის სრულ საკუთრებაში. (აქ ეწერა სახელი, მამის სახელი და გვარი ვერასი). იმედი მაქვს, რომ არავინ ექვს არ შეიტანს ჩემ ნაწერში და არავინ შეავიწროებს ჩემ შეყვარებულ სასძლოს, არავინ არ მიაყენებს შეურაცხებას უმანკო ქალს, ობლად და უმწეოდ დარჩენილს ქვეყანაზე. ეხლა შენდამი მოვიტყვი, საყვარელო ვერა, და თუშენ მე გულით გიყვარდი დაიჯერებ, და დაინახსოვრებ ჩემ სიტყვებს. უმაღლესი ღვთის ნებით მე მოვედი შენთან შემდეგ ჩემი სიკვდილისა, მოვედი მიტომ, რომ შენ გრწამდეს შესაძლებლობა სამარადისო სიყვარულისა საფლავს იქით და საიდუმლო დამოკიდებულობისა ცოცხალთა და მკვდართა შორის. ნუ დაატან გონებას ძალას იმის თაობაზე, რაც სამარადისო საიდუმლოებათ დარჩება ქვეყანაზე, და რაც მეორე ქვეყანაში აიხსნება მათთვის, ვისაც სწამდა და იმედი ჰქონდა გულუბრყვილოდ. არაფერს არ გავალებ შენ ქვეყნიურ ცხოვრებაში, გარდა ხსოვნისა და ლოცვისა ჩემი სულისათვის. მაგრამ, როცა დადგება დრო შენი ამ ამაო ქვეყნიდან განსვლისა, მე შევსთხოვ ყოვლად სახიერ ღმერთს რომ მან ნება მისცეს ჩემ ცოდვილ სულს, შევატყობინო შენ სულს მეორე სამარადისო ცხოვრებაში გადასვლა. გაიარე პატიოსნად გზა ცხოვრებისა და იყავ ბედნიერი სათნოებითა, მაშინ ჩემი სულიც დამშვიდებული და მხიარული იქნება შენ მშვენიერ ხვედრზე, ჩემო საყვარელო სასძლო. დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა—ამინ. 12 საათი ღამისა მან 6 ივნისს 1855 წ. ეამი ჩემი გარდაცვალებისა“.

ქვევით მოყოლებული იყო ხელმოწერა რენისა და მისი პატარა ღერბის ბეჭედი, რომელიც გამოკრილი ჰქონდა ბეჭედზე და არ იცილებ

და ხელზე. მწუხარება დიდი იყო, განუზომელი; დასაკლისი დაუბრუნებელი, მაგრამ რაღაც საკვირველებით საბრალო ქალმა გაუძლო აუტანელ ტანჯვებს. წაიკითხა თუ არა თავის საქმროს ანდერძი, ვერა ჩუმათ დაეშვა მუხლებზე ღვთის მშობლის ხატის წინ. ხატისკენ თვალე მბჰყრობილი, დიდხანს ლოცულობდა იგი უსიტყვოთ, უხმოდ, უცრემლოდ; ეს აღტყინებული უხმო ლოცვა ჰგავდა უცვლადი სულის საიდუმლო საუბარს უმაღლეს არსებასთან, ყოველი სულის და ყოველ სიცოცხლის შემოქმედთან. ბოლოს, ქალის მკერდი შეინძრა, თავი ძირს დაიხარა და თვალე ბიდგან გადმოხედქა ცრემლებმა, რომლებიც აქნამდის გულში უდუღდა და რომლებიც გამოიწვია ლოცვის ძალამ.

ეს ამბავი დიდხანს იყო სალაპარაკო მათშორის ვინც იცოდა; მაგრამ არც ისეთი შთაბეჭდილება გამოუწვევია, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგანაც კერძო უბედურება იქ, სადაც საყოველთაო სიკვდილი ფრინავს, ყოველთვის შეუმჩნეველი რჩება და მალე ვიწყდება.

სანმანიანი.

### ვაბრიელ ეპისკოპოსის სახეს.

დიდებულ სახეს,  
ჩვენს სიამაყეს,  
სიბრძნით აღსავსეს, ჩაფიქრებულსა  
გიმზერ კრძაღვითა,  
მოწიწებითა,  
იმედ მიხდილი გემთხვევი ხელთა...  
...შენი სამშობლო,  
მთები და მდებლო,  
ურწმუნო შვილთა დაისადგურეს  
და ის ტაძარი  
შენ რომ ანათდი  
შეაგინეს და გაანადგურეს.  
მებრძოლი აზრით,  
ენით ძლიერით  
შენს ეკლესიას არ ვინ აღუჩნდა

და ენა მღვდელთა  
დღეს პირმოთნეთა  
მათის მბდალობით შედგა; დადუმდა.—  
იმ უბადრუკთა,  
უმაღლო შვილთა  
ის აღარ ახსოვთ შენ რომ შეგრისხეს;  
სიმათლის თქმისთვის,  
ძმათ სიკეთისთვის  
ტაძარში თავი კილამ მოგკვეთეს,  
ან ავაზაკნი,  
ქვეყნის მძარცვანი,  
ხელში თოფებით გზებში გხვდებოდენ  
და შენ, კაცს სამართოს,  
მზესავით მნათობს  
ტყვიით სიკვდილსა გემუქრებოდენ...  
დიდ სულოვნება  
და მოთმინება  
ხელმიუწვდენი, მოწამებრივი,  
შვენიდა შენს გვამს,  
სიყვარულის ზღვას  
და სამდთო კაცის გამკობს გვირგვინი!!  
...არარაობა,  
ფარისევლობა  
ივერთ თვისებას შეადგინებენ,  
მეტეჩარობა  
და უაზრობა  
იმათსა სახელს დააკნინებენ...  
ძველად განთქმულის,  
სახელოვანის,  
ქვეყნად მნათობის ივერის ძენი  
სიტყვით ლომ-გულნი,  
საქმით უძღურნი,  
ძველის დიდების შემარცხვენელნი,  
დაეპატონენ  
საყვარელ მხარეს  
და თარეშობენ ღვთის შემარისხავნი!!.—  
შენგან მოყვანილს  
მშვენიერს ჯეჯილს  
ცვარისა ნაცვლად უხამს ასხურებენ  
და მამულს, ენას,  
სარწმუნოებას  
მურტალის ხელით გვიანადგურებენ!!  
ქველ-მოქმედებით,  
ძმათ მოყვარებით

ძლევა მოსილი არავინ გვყავს ღღეს,  
 ისევ ეგ სახე  
 მაღლით აღსავსე  
 ჩვენ დაობლებულთ ღღესაც გვინათებს;—  
 შენის სახელით  
 სწორ-უპოვართ  
 ღღესაც ამყობს მორწმუნე ერი...  
 უიმედობით  
 დაღონებული,  
 მეც ვგრძნობ ამას და ვარ ბედნიერი!!  
 ქვეყნისა მტერი.  
 სულელნი ბრძენნი,  
 მამული, ღმერთი, რომელთ გალანძღეს  
 შენს ხსენებაზე  
 დამუნჯებულან  
 და შენს სხივებზე ხუჭავენ თვალებს,  
 რომ სიტყვას საქმით  
 დადასტურებულს  
 შენში ხედავენ განმტკიცებულად  
 და ესე კაცნი,  
 მხდალნი-მამაცნი  
 მოგიგონებენ განდიდებულად...  
 შენს წინ მდგომარეს,  
 სულით მღელვარეს  
 ესლა მშთენია ფიქრად და ნატვრად:  
 შენებრ სხივ-მფენი,  
 ქველი და ბრძენი  
 ვინლა ალგვიჩნდეს ერის წინამძღვრად?!  
 რომ სიტყვით ბრძნულით,  
 საქმით ძლიერით,  
 კაცთ მოყვარებით კვლავ გადმოგვხედოს  
 და დაცემული  
 ესე მამული  
 წამოაყენოს და განადიდოს...  
 მაგრამ, სულ-მნათო,  
 ჩაფიქრებული  
 პასუხს არ მაძლევ დაღონობულს ძეს,  
 რომ დაცემული  
 ექვით ეს სული  
 კვლავ გამოფხიზლდეს და ამიმაღლდეს!!  
 შენს წინ მდგომარეს,  
 პასუხის მლოდეს

ნათელს მფენს სახე ეგ მაღლიანი  
 და მეც გიგალობ,  
 ვით აღრე გრიგოლ  
 თამარის სახეს ორბელიანი.

ივერიელი.

1909 წ. 3 ივნისი.

### X აირია მონასტერი! X

„აირია მონასტერი“, რომ იტყვიან სწო-  
 რეთ ისეა ჩვენი სამოსწავლო საბჭოს საქმე.  
 გედონისაგან დამფრთხალი ფოლისტიმლები-  
 ვით წევრები ერთმანეთს ელეტენ და ჰგონიათ  
 სკოლების საქმეს ვაკეთებთო. ამაღლების სკო-  
 ლის საქმე გააკეთეს(?!), დაითხოვეს ყველანი  
 თავის გამგიათა და ვინც უფრო დიდი დამნა-  
 შავე იყო, უფრო დიდი ადგილი მისცეს, ე. ი.  
 ხარაგაულის ორკლასიან სკოლაში გადაიყვა-  
 ნეს მასწავლებელად. ნეტა რა დააშავეს ნა-  
 კლებმა დამნაშავეებმა, რომელნიც განათლე-  
 ბითაც და უფლებითაც უფრო მაღლა დგანან  
 დიდ დანაშაულზე? ეს წითელსარჩულიანმა  
 იცის, რომლის მეოხებითაც გაფუჭდა ეს ერ-  
 თად ერთი საეკლესიო სკოლა ქუთაისის მა-  
 ზრაში. საბჭოს ჰგონია საქმე გააკეთა, მაგრამ  
 სცდება: მთავარი მიზეზი, რომელიც სისტემა-  
 ტურად აფუჭებს არა-თუ მარტო ამ სკოლის  
 არამედ ყველა სკოლების საქმეს ეპარქიაში,  
 სათავეში ზის და სწამლავს წმიდა საქმის ნა-  
 კადულს. მის მაგიერ რომ სკოლაში მშვიდო-  
 ბა შეიტანოს, ლამის არის მასწავლებლები და  
 მოსწავლეებიც კი ერთი მეორეს გადაჰკიდოს.  
 ასე მოიქცა იგი ამაღლების სკოლაში: მოსწა-  
 ვლეები მასწავლებლებს აუჯანყა, მასწავლებ-  
 ლები გამგის წინააღმდეგ აამხედრა და  
 ყველა კი დაიღუპა. მარტო ერთი ის რას  
 არ სჯობია, რომ მასწავლებლებს პირები და-  
 უკონა და ბარაქალა უთბრა, როცა გაიგო,  
 რომ უკანასკნელებმა გამგეს მოსამსახურე  
 გაუყენეს და მისი საქმიანი ქაღალდი არ წა-

აღებებს?! ამისთანა მარგალიტები ბევრი ყრია ბ. მეთვალყურის მოქმედებაში, რომლებსაც, მგონი, ამის შემდეგ მაინც გამოაქვეყნებენ გამობუნძულებული მასწავლებლები. წინად განზრახული კომბინაცია ბ. მეთვალყურისა სავსებით შესრულებულია ჯერ-ჯერობით. ვნახოთ ამის შემდეგ რა იქნება, მაგრამ რაღა უნდა იქნეს სკოლის დახურვის მეტი?

გავიგეთ ბ. ჟორდანიას რაპორტით უთხოვნია ყოვლად სამღვდლო გიორგისათვის, საბჭოს წინადადება მიეცით ბ. გ. ნიჟარაძემგესტიის სკოლის მასწავლებლად დანიშნოსო. არ გვიკვირს, მსგავსა მსგავსისათანა უნდა განისვენოს, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვსთქვათ, რომ ეს ის გ. ნიჟარაძე გ. ხლავსთ, რომელიც ძლივს მოიშორეს სამინისტრო სკოლიდან და რომელზედაც სვანეთის სკოლების მეთვალყურე მ. მარგინი იწერება, მაგისმა დანიშვნამ შეადრწუნა სვანეთის და თუ მართალია, ნება მიბოძეთ, სამსახურს თავი დაეანებოვო. ასე გაკეთდება საქმე? სვანეთი სკოლებში ბ. მეთვალყურეს ჯერ-სულ არ გაუვლია და ასეთ ნაირ მასწავლებლის დანიშვნით უნდა გააკეთოს მისი საქმე? საბჭოც, რა თქმა უნდა კვერს დაუკრავს, იტყვის: მეთვალყურეს სურს, ჩემი რა საქმეა, სკოლაც და მასწავლებელიც მან უნდა იცოდესო და პილატესავით დაიბანს ხელს. ან კი რა დაუშვადება საბჭოს, იკითხოს სვანეთის სკოლებმა თორემ განსვენებულმა მამინაიშვილმა ეს ერთად ერთი სიკეთე დასთესა სვანეთში და ამასაც ბოლო ეღება ამ ბუჩავ კუთხეში; ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას კი ჰგონია, რომ საქმე კეთდება და ცალკე ჯამაგირს უნიშნავს ეპარქიის მეთვალყურეს. რატომაც არა, ისიც კმარა, რომ ასეთ ველურ ხალხის სკოლებს გენერალი კამანდრობს. მ. მ. კელენჯერიძემ მგონი ხუთჯერ მოიარა სვანეთი, მაგრამ ვინ დაუმაძღვა? ჯამაგირი კი არა, სამსახურიდან დაითხოვეს. რა კარგია გამოცდილება! რა გაჩანჩალებს? დაჯემ შენთვის სახლში და მოისვენე თბილ ბუხართან შალწამოსხმული. რასაც მეტს სწერს და აკეთებ, მეტ შეცდომას დაუშვებ, შეცდო-

მას კი არავის გაბატონებს და დაჰკარგავ ლუკმას. სჯობს, გაჩერდე, ქვეყნიერება შენით არ დაწყებულა და არც დასრულდება მეც რა მატრიცინებს, ერთი მკითხეთ? მაგრამ რა უნდა დაეკარგო, ჯამაგირი არავინ დამიკაოს ერთბაშათ, ან სამსახურიდან არ დამითხოვონ... ლაპარაკი და წერა ჩემისთანა კაცის საქმეა.

რაქალაქის მამის მეთვალყურეს მ. კვიციანი სამსახურისთვის თავი დაუხრებია და ამღლებს სკოლაში პირველ მასწავლებლის ადგილზე გამწესებულა. არ არის სასიამოვნო ამბავი. ერთი იმიტომ, რომ მ. კვიციანი არ არის უნიჭო ყმაწვილი და სკოლების ხელმძღვანელობა შეეძლო, მეორე იმიტომ, რომ მეთვალყურის ასე მალ-მალე ცვლა დიდი ზიანია სკოლებისთვის. სკოლას გაცნობა უნდა, შესწავლა ყოველი მხრით. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ნაყოფიერი იქნეს მეთვალყურის მოღვაწეობა. როგორი იქნებიან ახალი მეთვალყურეები და როდის გაცნობიან იგინი თავიანთ სკოლებს, ვინ იცის? და საბჭო კი ამას საქმის გაკეთებას ემახის, ესევე უნდა ვსთქვათ ცოტადენი გამოკლებით მ. ქუთაისის მამის სკოლების მეთვალყურეებაც, რომელმაც ახლახანვე დაანება თავი. დარწმუნებული ვართ ახალი მეთვალყურეებიც მალე დაანებებენ თავს სამსახურს: უყვარს საბჭოს და მის მარჯვენა ხელს ბ. ჟორდანიას ახალ-ახალი კაცები, „სვეფი ტავარი“ და იმას კი აღარ აქცევენ ყურადღებას, რომ ყველაფერში „სვეფი ტავარი“ არ გამოდგება, თუმცა არც „სტარი ტავარი“ ვარგა ყოველთვის, როგორც მაგ. ზემო აღნიშნული ნიჟარაძე და მისი პროტექტორი.....

ახალი მეთვალყურეების ნაკლს (ჩვენ ვამბობთ მათ გამოცდილობაზე ამ ხელობაში და არა საზოგადო მათ ნაკლულევანებაზე) არ დაიმჩნევდნ საბრალო სკოლები, რომ ბ. ეპარქიის მეთვალყურე თავს შეიძებდეს და სკოლებში სიარულს დაიწყებდეს. კაცისის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი უკვე დიიარება სარევიზიოთ სოფლებშიაც კი და ჩვენ კი არა გვეშველა რა; არ იქნა ვერ ავადგმევირეთ

ფეხი, რომ წელიწადში ხუთი სკოლა მაინც დაეთვალიერებია. მაგრამ, რა ვიცი, იქნებ ასე სჯობდეს, რომ არ დადის, ვინ იცის, იქნებ უფრო აირიოს საქმე, რომ იაროს?! არა, სჯობია, ისევ სახლში იჯდეს და სკოლები თავის მწარე ბედისწერის ამარა იყოს. იქნებ გაუმარჯოს თავისმა სიობლემ; იმედიც უნდა ვიქონიოთ, რადგან „ობლის კვერი გვიან ცმდება“.

საბჭოს საქმის მწარმოებელი დაძველდა. „სვეფი ტავარის“ მოყვარულმა უკვე ითხოვა მისი გადაყენება და მიზეზად ის დასდო თურმე, რომ სიყალბეს ჩადის ქალაქებს სკვლის, თარიღებს ფხიკავს და თავის ხელსაყრელ თარიღს აწერსო. ძველ საქმის მწარმოებელს მ. ს. შუქელიძესაც ასეთ სიყალბეს უჩიოდა და უნდოდა მის ადგილზე „სვეფი ტავარი“ გამოეწერა, მაგრამ ვერ მოახერხა. ამბობენ ვერც ეხლა ახერხებს რამეს, წინააღმდეგ თვით გაქირვებულ მდგომარეობაშია თურმე ჩავარდნილი, რადგან ბ. საქმის მწარმოებელი ცილის წამებისთვის ჩივილს უპირებს.

ერთი სიტყვით აირია მონასტერი და ვნახოთ რა გამოვა ამ არეულობიდან?!

ხელი.

**რას აკეთებს ბერი?**

მსოფლიო ცხოვრების საცთურებათა სიღრმეში ვერ მხედნი, ძალიან მოკლებულ არიან ქეშმარიტებითი ცნობიერებას და განუსჯელად გაიძახიან: „რას აკეთებს ბერი? მუქთა მკამელი, უსარგებლო, მეტი ბარგიაო“, უმრავლესობა ასე ღაღადებს; მეც სიტყვა მათთან მაქვს. ჯერ პირველად საერთოდ ადამიანის მოქმედებას შევეხოთ, თუ რას აკეთებს მთელი ადამიანობა? ყველასათვის საანბანო ქეშმარიტებაა, რომ თითოეული ადამიანი აკეთებს თავის „მე“ს. თუმცა ეს „მე“ სოლიდარულია ერთეულ მოძრაობისა და შემადგენელია საერთო მოქალაქობისა, მაგრამ ეს თავით თავისით

თითოეულის „მე“ს მოთხოვნილებათა მიმდინარეობის აუცილებელი კანონია ცხოვრებისა. სადაც თითოეული აშენებს თავის „მე“თა ნავთსაყუდელს, ემსახურება თავის „მე“ს და ცდილობს ყველაზე უპირველესად გახადოს ბედნიერი თავისი თავი. რასაკვირველია ასეთი თითოეულის საკუთრება უერთდება ერთი-მეორის დასახმარებელ საქმიანობათა კავშირით ზოგადობათა ჰარმონიას და სდგება თუ შენდება მთელი საკაცობრიო საერთო ქალაქი. გარნა არა სხვის ბედნიერების ძიებით არამედ თავით თვისობით, ვითარცა შედეგი თითოეულის „მე“ს საქმიანობათა. აქედან სჩანს, რომ ყოველი კაცი ემსახურება თავის საკუთარ სარგებლობას და აკეთებს თავის გულის საწადელ საქმეებს, ან ნივთიერ მოგებისათვის, ან სახელგანდიდებისათვის, ან სსაუკუნო ცხოვრებისათვის. ასეა სწორედ ქორწინების საქმეც: ვითარმედ თავის გულის საწადელად იქმს ყოველი კაცი. ვსვამ კითხვას: რატომ ქორწინდებიან ერნი? მოყვების ხატრით თუ თავის საწადელყოფად? ღვთის მიერ აუცილებელ კანონთა მორჩილებით, რათა არა განურისხდეს ღმერთი. თუ თავის ნდომათა მიდევნებით? ამაზე პასუხი სხვა მხრივ შეუწყნარებელია თუ არა მხოლოდ საკუთარ გემოთა დაძორჩილებისა. მერე რა შემეძინა მე აქედან? სრულიად არაფერი. მაგრამ მე ადამიანის მეფურ თავისუფლებას დიდათ პატივს ვსცემ, — პატივს-ვცემ იმ თვალ-საზრისით კი არა, რომ მათი ქორწინება ჩემთვის შეადგენს რამე საქმიანობას, არა, არამედ ღვთის ქმნულობაში ვხედავ საცვიფრო საიდუმლოებას ადამიანთა სანეტარო მომავალ ცხოვრებისადმი აღსავალით. ამისათვის ადამიანთა ათას გვართომობით განყოფილებანი, სჯულნი და სარწმუნოებანი, არჩევანთა წოდებანი ყველა ღვთის მიუწთომელ განგებულებისა სადიდებელად მიძახნია. ჩემი ანაფორა და კუნკული, შენი ჩერქეზა და ბოხოხი, იმისი პალტო და შლაპა, ქორწინება და უქორწინებლობა, ესენი კი არ შეადგენენ თავით თვისით მაღალ კაცობას, არამედ ამაში მყოფი სულის თვით მფლო-



ბელითავისუფლების გზით სათნოებათა ბრწყინვალეობა აღიყვანს ადამიანს ღმერთ—კაც ყოფად. აი ამაში უნდა იხედებოდნენ ყოველნი შესმენილნი და საღმრთოდ განათლებულნი პირნი და იტყოდნენ მკვირვედ, ვინ შესძლო ეს დიადი საქმე და არა იმას იძახდნენ მათი უეციკობის ნიშნად თუ „რას აკეთებს ბერი“?

პავლე მოციქული, როგორც ზღვა სიყვარულისა, ხედავს რა ადამიანებს აუტანელ ტანჯვაში, დიდათ ურვეული მიმართავს აღსასუბუქებელ საშვალებას და იწვევს შემდეგი სიტყვებით: „თავისუფალი თუ ხარ კოლისგან ნუ ეძიებ კოლსა.—რამეთუ მნებავს ყოვლისა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი ჩემი (უქორწინებლად), არამედ კაცად კაცადსა თვისი მაღლი აქვს დთვისაგან, რომელსამე ესრეთ და რომელსამე ეგრეთ. ვეტყვი უქორწინებელთა მათ, კეთილ არს მათდა, უკეთუ ეგნენ ესრეთ ვითარცა მე.“ ამ მოძღვრებით პავლე მხედველობს ორს უპირველეს საადამიანო ნეტარებას:—პირველი შეუგინებლად სუფთად სიწმიდის მშვენიერებას და მეორედ, რაოდენად შესაძლოა ამ უკულმართ სოფლიო ცხოვრებაში, ქირსა და ტანჯვათა აღსუბუქებას, რამეთუ ესრედ დასძენს; „უკეთუ იქორწინე, არა სცოდავ, გარნა ქირი ხორცთა თავს იღვან ეგე ვითართა მათ.“

ამ სიტყვებით ჩვენ გვინდა პირველად დავანახოთ მკითხველებს წინ მდებარე საკითხის უძვირფასესი მხარე, თუ რას აკეთებს ბერი? ვითარმედ უწარჩინებულეს და უდიდებულეს მოციქულის სიტყვებს ვახორციელებთ ბაძვად ქრისტესა, რომლითა ვაკეთებთ არა ჩვეულებრივ მოქალაქობას, არამედ ზესთა ბუნებისა ვამაღლებთ ცხოვრებას!..

ხშირად გვესმის საგნის გაუცნობელ პირებისგან ბრალდება განშორებულ ბერებზედ (ც.ე.ი. ყოვლად განდგებიან), ვითომ უსარგებლო იყვნენ საზოგადოებისთვის. დღეს მაინც სადა გვეყვანან ნამდვილი კანდეგლები, რომელნიც თუ არას გიკეთებენ, ბატონებო, ქვ მაინც არცარას გავნებენ და ყოვლადვე ბარგი—გინა ტვირთი არ არიან სოფლებელთა-

თვის, თორემ განდგეგლის დიდ-სულოვნებასა და მაღალ მოქალაქობაზე სიტყვა უძღურა; ის საღმრთო ძალები. რომელნიც გამოსაცდელად მხედრისა სულიერ ქალაქში მთელ მსოფლიო ბუნების აუწყრელ სცენების წარმოდგენაში ხდება, ამის გამოცნობა თვინიერ საქმით გამოცდისა შეუძლებელია, რომლის სიდიადის სიმაღლე თუ სიღრმე, ვნება—ჯვარცმა და აღდგომა მხოლოდ მან იცის, ვინც ამ ასპარეზზე ომში გამოიჩინა ძლევა მოსილება.

დავუბრუნდეთ პავლეს სიტყვებს, რომელშიაც გატარებულია ყველასათვის საუმაჯობესოდ უბიწოდ დგომა და თანახმად მისი რჩევისა მოგმართავთ თქვენ, რომლებთანაც მაქვს მე სიტყვა, ხოლო დანარჩენ საზოგადოებასთან ბოდიშს ვიხდი ამის შემდეგი სიტყვები თქმისათვის: თუ არის, ბატონებო თქვენში დიდ-ბუნებოვანი აზროვნება და გებრალეობათ ადამიანობა, მოსპეთ მიზეზი იგი განმრავლებისა. იქმნენით „საჭურისნი სასუფეველისთვის.“ და განთავისუფლდება ადამიანობა კენესა-ვაებისგან და დამრტდება ეს უფსკრული გეენისა, რომელსა შინა იწვიან ადამიანები!.. შეიძლება, ეს სიტყვა კანდიერად გეჩვენონ ღვთის დადგენილების წინ, მაგრამ თუ დაცემულ ადამისთვის წყევით მოგებული განმრავლება შენდობილ და კურობხეულ იქმნა, რაოდენ უმეტეს, პირველ საზომში აღსვლა და უქორწინებლობით დგომა ქვეშაობითაა. ამას ვამბობ მე მორწმუნის წინაშე. ხოლო თქვენ, ბატონებო (არამორწმუნენო), რომლებთა მოსახრებით საწუთო ცხოვრებას სხვა მნიშვნელობა არა აქვს რა მომავალ უკვდავ ცხოვრებისათვის, დიდი უგუნურობის მსახური ყოფილხართ, რომ ამრავლებთ ტანჯვის შეილებს. თუ თქვენში რამე ნაბერწკალი გულისხმის ყოფისა ოდნავ ბეუტავს და ადამიანები გეცოდებათ, ნუ თუ ჯალათებად არ შეირაცხებით, როცა ამ ტანჯვის შედეგი აღამანთათვის მომავალ უკვდავ ნეტარებად არა გწამთ და მიუხედავად ამა ყოვლისა, მაინც თქვენ გემოს მსხვერპლად ყოით ნათესავებს ტანჯვის მამულში!! მაგრამ ეს კიდევაც, რომ

შეგნებული გქონდეთ, მაინც ისე ძლეულნი ხართ გულის თქმის სიბოროტისაგან, რომ არ შეგიძლიათ ამის მოსპობა. ამის შემდეგ თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სთქვათ: რას აკეთებს ბერი? აღიხილენით თვალნი თქვენნი და იხილეთ თუ რას აკეთებს ბერი (ვამბობ ღირსების დამცველ ბერებზე):

ბერმა გააკეთა ის, რის გაკეთებასაც სჭირია თავისი „მე“ს უძლიერესი მხარის დაძლევა და უსატრფიალეს გემოვნებათა შეწირვა. ეს ცათა უმაღლესი საზომი-(ბუნების ძლევა) ერთის ხაზ-გასმით დაამტკიცა ბერმა და ბუნებაზე გამარჯვების დროშა ააფრიალა!

საქმეთა სიძნელის სისრულით წარმოდგენა, თვინიერ მოქმედებით გამოცდილებისა, შეუძლებელია; ცადეთ საქმით,— შეაყენეთ მდინარე იგი ბუნებურ ცეცხლისა, შემდეგ შეადარეთ ამ მხრივ ბერი და ერი და ნახავთ თუ რა ძალა შეუშოსია ბერს, რავდენი ბრძოლა და შეტაკება ჰქონია მას ბუნების სამეფო ქალაქის ასაღებათ და დასამორჩილებელად, რომლის წინ ერი ყოველად უძღურია. მიუხედავად სარწმუნოებისა საუკუნო თვალ-საზრისის გარეშეც, ბერი მაინც ზე—კაცია მსოფლიო საბიწიერო \*) მაძულში. ყოველი ქეშმარიტი ბერი, როგორც განშორებული და თავისუფალი ბერი (რომელიც მიზანში გეყვავს); ისე მწყემსმთავარ ბერიც კერძო ცოლ-შვილთა ვარყაფით ღრმად მოსიყვარულე მამა მთელი კაცობრიობისა; იგი თვის შორის სულიერ ნათლის მოტრფილად ნათელ გონებით შეყურებს საზოგადოებას, ეწყაღვის ტანჯული ხალხი და თუ რამე აბადია ძალ-ღონე არა შურს მათთვის შეწევნად. იხილეთ ცხოვრება იოანე ოქროპირისა, ვასილისა, გრიგორისა, იოანე პატრიარქ-მოწყალედ წოდებულისა და სხვათა მრავალთა.

ყოველი შეგნებული ბერი ტარიგია სამშობლოსა, იგი განშორებული თავისი საპირადო ოჯახთა მოვალეობისა, მთელი თავისი არსებით ეკუთვნის საზოგადოებას, ემსახურება საყოველთაო ვალდებულებას და წინ მიუძღვის

გაქირვების დროს სამშობლო ერის პასუხ-გებათუ მართვას. მაგალითებით დავასაბუთოთ ჩვენი სიტყვა: განა ვინ უღმრთო და უგულისხმო იქნება ისეთი, რომ არ აღიღოს ნეტარ ხსენებული გაბრიელ ებისკოპოსის დაუღალავი შრომა და ღვაწლი სამშობლო ერისადმი? განა ენით აღიწერება ის ღრმა სიყვარული ერისადმი, რაც გაბრიელის გულში ღელავდა და მთელი მისი არსებით განმსჭვალულმა დაუფასებელ კეთილ საქმეებით დაუმტკიცა საქართველოს, თუ რას აკეთებს ქეშმარიტი მწყემსმთავარი ბერი?

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი უსწავლელი ჩვენი თანამედროვე მარტომყოფ ონისიმე ფაჩულია ბერის სახალხო გასაკვირვალი მოღვაწეობა, რათა ბრწყინვალედ სცნათ, თუ რას აკეთებს უსწავლელი, მაგრამ ქეშმარიტი ბერი (ეს ბერი ექვსი წლის წინად გადაიცვალა). იგი ცხოვრობდა სოფელ ქვალონის [განაპირ, ტყეში განდევნილად. ლოცვას ღამით ათავებდა, დღისით თავ-განწირული მისი შრომა გასაკვირველი იყო; საგნად აღებული ჰქონდა ყანისა და ხეტყის მუშაობა. წელიწადში ოთხას ფუთ სიმიდს დათოხნიდა და მოიწვევდა თავისი მკლავით, თოხით, მოუხმარებლად ხარ-სახნისისა. სასიმიდე მისი აღვსილი კარ-ლია იყო მარადის; ხალხისადმი განცხადებული ჰქონდა; „ღარიბნო იღეთ, რავდენიც გქირიით სარჩოდ, სანამდის არ დაიღვეა, თქვენია სამხანაგო, თქვენთვის მიმიკუთვნია ჩემი ნაშრომი, სიყვარულის და ძმობის უფალმა ქრისტემ ასე დამავალა.“

აგრეთვე სჭრიდა დიდ-როვან ხეებს: ზოგს ფიცრად თლიდა, ზოგს ყავრად ხდიდა, ზსოგს მესრებად აპობდა და ზოგს შეშად აყორებდა. ყველა ამებებს იგი, როცა გაყიდვიდა ფულებს ურიგებდა გაქირვებულ ხალხს. აგრეთვე აგებდა სახლებს და, როცა გააშენებდა აძლედა უსახლო გაქირვებულ ღარიბებს ამისი მოწამე ვარ თვით მე, რომელმაც დავყავ მასთან ორი წელიწადი და მოწამეა მთელი ხალხი სოფელ ქვალონისა და მის—ვარ შემო. ესე ვითართა ქეშმარიტთა ერთათვის

\*) „ნათესავი ესე მკრუშე.“

არა ძეს სჯული ქვეყნიერი, არამედ უზესთა-  
ეს ქვეყნისა ქმულან მნათობად სოფლისა.

ვის არ ესმა საქართველოს მნათობთა  
ღვაწლი და შრომა თუ რა გაუკეთეს სამშო-  
ბლოს გიორგი მთაწმინდელმა ევთიმე მთარ-  
გმნელმა, ანტონ კათალიკოზმა და სხვა  
განათლებულმა პირებმა. განა ბერები არ იყუ-  
ნენ, რომლებმაც თორნიკს დროებით გახადეს  
საბერო სამოსელი და ერულ ტანისამოსით  
შეკურვილი გაგზავნეს ტანჯულ ერის დასახსნე-  
ლად? ამის შემდეგ განა საჭიროა სიტყვა იმა-  
ზე, თუ რას აკეთებს ბერი? ყოველთვის იყო  
და დღესაც ასეა, — საზოგადოებასაც წინა მი-  
უძღვის საერთო უღელში გაბმულად ორი  
დასი: — პირველი საერო მალალ განათლებული  
პირები და მეორე განათლებულ მღვდელ-  
მთავარი — ბერები და ყველა შეგნებული  
სასულიერო პირები.

(შემდეგი იქნება). ალექსი ბერი.

## მოლა.

რა არის მოლა, რომელმაც უმეტესი ნა-  
წილი ქართველი ხალხის მოწინავე, ეგრეთ  
წოდებულ, ნასწავლი კლასისა ანდამატივით  
მიიზიდა, აათვალწუნებია თითქმის ყველაფერი  
ჩვენი ეროვნული, საკუთარი და გადაგვარების  
გზაზე დააყენა? ჩემის აზრით ერთი მხოლოდ  
მიბაძვა, წამხედურობა, — სხვა არაფერი. დიახ  
ამ მოღათ წოდებულმა წამხედურობამ, თუ  
უკაცრავად არ ვიქნებით, სიმართლის მოხსენე-  
ბაზე ბევრი გაამაიმუნა ჩვენში... ამიტომაც  
მოღის განურჩევლად, აუწონ-დაუფასებლად  
მიღება, შეთვისება ჭკუიანურ მოქმედებად არ  
უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მოღის ნურც ეგრე  
აბუჩად ავიგდებთ და ერთის კალმის გასმით  
სამარეს გავუჭრით. თუ რომელიმე ტომის  
ხალხი მათზე ჭკუა გონებით და განათლებით  
წინ წასულს ხალხს ბაძავს იმაში და ითვისებს  
მისგან, რაც ჭკუა-აზროვნების ზრდასა და  
განვითარებას და კულტურულის მხრით წინ  
სვლა-წარმატებას გზათ და ხილათ ედება, იმ

შემთხვევაში მიბაძვა წამხედურობა დიახ გო-  
ნიერული საქციელია, და, როგორც სასურვე-  
ლი, მებრვე საზრუნველია. და თუ მარტო  
იმაში ხედავს სხვებს და ითვისებს მათგან  
რაც მათთვისაც უნაყოფო და გამო-  
უსაღდგარია, იმ შემთხვევაში, რაღა თქმა  
უნდა, ასეთ რასმეს გადმოღება და შეთვისება  
მიბაძველის ჭკუა გონებით უსუსურობის და-  
მამტკიცებელი დოკუმენტი... არა გვეგონია  
სხვა რომელიმე გვარის ხალხს ჩვენებრ წამხე-  
დურობის ინტერესით იყოს გატაცებული;  
მაგრამ რაში ვბაძავთ უმეტესი ჩვენგანი ჩვენ-  
ზე უფრო განათლებითა და თვით შეგნებით  
წინ წასულს ხალხებს, რას უფრო გულმო-  
დგინეთ ვითვისებთ მათგან? დავიწყეთ თუ  
გნებავსთ ერთი შეხედვით უბრალო ფაქტე-  
ბილამ: ევროპაში ქალებს ქუდი ხურავთ თავ-  
ზეო, მოაწია ამ ამბავმა ჩვენში თუ არა თვალ  
საჩინო გუნდმა ჩვენი მანდილოსნებისამ მოი-  
გლიჯეს თავილამ გვეელ-გაურჯელა-ლენაქი,  
ეს ქართველი ქალის დამამშვენებელი ნაციო-  
ნალური თავსახურავი და შლიაპები წამოისკუ-  
პეს თავზე... ამის შემდეგ კიდევ მოესმათ ხმა,  
იმავე ევროპაში ქალებს კრინოლინა აცვიათო;  
— მოგეხსენებათ, როგორც განათლებასთან მე-  
ბრვე მისაბაძავ მორთულობასთან, ამ მოღის  
არავითარი კავშირი არ ჰქონია, ქართველ  
ქალს ეს მოლა სიხლოვესაც არ  
უნდა მიეკარებია, რადგან სხვა რომ არა მოვი-  
ხსენიოთ რა, კრინოლინამ ჩვენი ლერწამ ტა-  
ნოვანი ქალები სწორედ ბაშბის კარგებს და-  
ამსგავსა... მაგრამ, წამხედურობამ მაინც თავისი  
გაიტანა და ჩვენი მღედრთა სქესი, სულ თუ  
არა უმეტესი ნაწილი ხომ, თაყვანის ცემით  
შეეგება კრინოლინას, და ჩვენს ქვეყანაში  
მოტანაც კი არ დააცალეს კომერციის მიმდე-  
ვარ ხალხს რომლებიც ამგვარს ნობათებს  
ნდომაც რომ არ შეგვნიშნონ, მაინც სწრა-  
ფად გაგვიჩენენ კართა წინაშე, რათა ჩვენის  
ჯიბის ავლადიღება გადაიბატიეონ თავიანთ  
ჯიბეებში, და თვითონ გამოიწერენ ევროპის  
ქალაქებილამ. მაღალი წოდების დედა-კაცებს  
რასაკვირველია დაბალი წოდებისამაც წახედეს,

და, რადგანაც მათ ნივთიერი შეძლება არ უწყობდათ ხელს მალაზიებიდამ შეეძინათ ევროპიული კრინოლინები! მიტ თვითონ შეკერეს თავიანთ გემოვნებაზე განიერი ამირიკის თუ მიტკლის იუბკები და მავთულის მაგიერ გაუკეთეს ვაზის ყლორტები თუ თხილის წკნელები და ამნაირად ხელად მოამზადეს და გადაიცვეს ხაბარდები... (ჩვენში ასე უწოდებენ კრინოლინას). შეიძლება ამ დამაუშნოებელს წამხედურობას დიდხანს ემნფნა ჩვენს ქალებზე, რომ შეგნებულ პირთა მწვავე დაცინვას არ მოედო ბოლო. ზოგიერთებმა შემდეგი შინაარსის ლექსებიც კი შეთხზეს და დაიწყეს მღერა ღვთისაწაულ ღვებზე, თემში და ლხინ-ქორწილებში:

„ხაბარდა ორმაგია  
პოლსაპოში ძვირია,  
ვინც ხაბარდას ჩაიცვამს  
მისი ქმარი ვი . . . ა“.

და სხვა და სხვა..

ჩაფიქრდენ ასეთი პანგების მოსმენის შემდეგ ჩვენი ხაბარდოსნები, გამოახილეს გონების თვლი და დაინახეს რომ „ხაბარდა“ დამშვენების მაგიერ აუშნოებდა მათ და როგორც იყო თავიდან მოიშორეს და გაისტუმრეს გარდაცვალებულ მოდების სავანეში. აღიარეს ვიტყვი ტიურნილაზე, რომელმაც ისე დააუშნოვა ჩვენი ტანადობითაც ქებული ქალები, რომ შეხედვაც დასაზარელი შეიქნა... კარსეტმა, ხომ სული შეუხუთა და ფილტვები დაუსწულა ჩვენს ახალგაზდა კოპწია ქალებს, და სხვა, და სხვა.. მართალია, ყოველივე ეს დიდათ დასაფიქრებელს საგანს არ შეადგენს; ქართველს ქალს ოღონდ ქართველი დედის სული ედგას და გული უცემდეს მკერდში, მისი ნამუსითა და პატიოსნებით იყოს შემოსილი და, დაე ეცვას კრინოლინა და ტიურნილა, ესუროს ქუდი და ჩაბალახი... მაგრამ ის კი არის სამკმუნვარო და აღსანიშნავი, რომ წამხედურობა მართა გარეგან მორთულობაზე არ შეჩერებულა, მართა ჩვენი ეროვნული ჩაცმა—დახურისათვის არ ლუკრავს ბარგი და არ გაუსტუმრებია დავიწყებისა და მოსპობის

სამარეში... გადავიდეთ ეხლა, ჩემო მკითხველო, უფრო საყურადღებო ფაქტებზე: ვინ არ იცის რომ ყოველ ერს რომელსაც კი ჰქონია დამოუკიდებელი თავისუფალი თვითარსებობა, ჰქონია და აქვს თავის საკუთარი ვინაობის გამომხატველი ელემენტები, ე. ი. ენა, ზნე, თვისება, ხასიათი, თავისი ლიტერატურა, თავისი ისტორია, ყველაფერში თავისი ორიგინალური ელფერის დამამტკიცებელი დოკუმენტები. რომელიც სრულიად ასხვავეს სხვა ტომის ხალებიდან დაქმნის კერძო თვით არსებად. ერი მხოლოდ იმ პირობებში ერობს და არის უკვდავი მისი ნაციონალური აგებულება, როდესაც თავის ეროვნულს სახეს შეცვლელად იცავს, თავის საკუთარ ეროვნულ თვითარსებობის გამომხატველს ელემენტებს მტკიცედ იცავს. წამხედურობამ ლამის აქაც თავისი ქნას და ჩვენი ეროვნული თვით არსებობის სული და გული ხელიდამ გამოგვაცალოს და დედის ძუძუს მაგიერ დედის ნაცვლის ძუძუ ჩაგვიდვას პირში...

უცხო ენებმა, ჩვენი დედა ენა, ეს უმთავრესი ელემენტი ჩვენი დამოუკიდებელ ეროვნულ თვითარსებობისა, ლამის გოლგოთაზე აიყვანონ და ჯვარზე სული განატყვებინონ... სხვა რომ არ მოვიხსენიოთ ფრანგულმა, ანგლიურმა და ნემეტურმა ენებმა ლამის ჩვენი დედა ენის ადგილი დაიკავეო ჩვენი ერის ენათა მეტყველების ახლო მომავალში; და უმეტესი ნაწილი ჩვენი განათლებული, უცხო ენებზე მოკიკტიკე ქართლოსიანები ამას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ; დედა ენის დაცვას, შენარჩუნებას მის საფუძვლიანად შესწავლას კიარ სცდილობენ, კიარ აღიარებენ, არამედ უცხო ენებისას. ისინი გულმოდგინეთ მეცადინეობენ, გაიცნონ, შეისწავლონ, შექსპირი, ვიოტე, შილლერი, ჰიუგო, მარქსი, ვოლტერი და სხვა უცხო ტომის ხალხთა მწერლები და მათი გონების ნაწარმოები, და ჩვენი საუკეთესო მოაზრე მწერლების რუსთაველის, შავეთელის, სარგის თმოგველისა, ხონელის, ბარათაშვილის, ორბელიანის, ერისთავის, ქავჭავაძის, წერეთლის და სხვათა

მაღალის ნიკის შექმნელი და გონების ნაწარმოები კი უცნობი ხილია მათის ტვინისათვის... ვინ იტყვის იმას რომ ევროპიულ ენების და ევროპიულ საუკეთესო მოაზრებულ მწერლების გონების ნაწარმოების გაცნობა, შესწავლა და ცოდნა დიდათ საჭირო არ იყოს ჩვენი ფართოდ გათვითცობიერებისათვის. მაგრამ თვალსაჩინო სარგებლობის მოტანა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ჩვენი საერთო ოჯახისათვის, როდესაც ჩვენ ყველაზე პირველად ჩვენი დედა ენა ზედმიწევნით ვიცით, და განვითარებული ვართ ჩვენ ეროვნულ მწერლობაში, შეგნებული გვაქვს ჩვენი ერის გონებათა და აზრით საუკეთესო წარმომადგენელთა გონების ნაწარმოები... თორემ რას ემგვანება ის, რომ ფრანკუზმა არ იცოდეს თავისი ფრანგული დედა ენა და ნემეცური კი? რასაკვირველია ასეთი ფრანგი არა თუ განათლებულად მისამჩნევი, მთელის ნაციის შემარცხვენელი მწვერი იქნება. მებრვე რა ჯურის ნემეცი იქნება ის ნემეცი, რომელიც ინგლისურს ენაზე ლაპარაკობს შინ და გარეთ, ინგლისის პოეტების გონების ნაწარმოებით იხსნის, ავარჯიშებს თავის აზროვნებას და ნემეცურის ენისა და ლიტერატურის კი არა ესმის რა, არა გაეგება რა და სხვა... ჩვენში კი სამწუხაროდ ბევრსა ვხედავთ ამისთანა ტიპებს.

ქიხოსრო გელოვანი.  
(შემდეგი იქნება).

**რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები**

**ბიბლიის შესახებ? \***

ა. ჟიდოვისა.

შესანიშნავი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, ბრწყინვალე მწერალი საფრანგეთის მწერლობის „ოქროს ხანასი“ ბლეზე პასკალი (1623—1662) უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული იყო საღმრთო წავლისადმი. მან ზეპირად იცოდა მთელი

ბიბლია და მით არა ნაკლებ კითხულობდა მას უღრმესი მოწიწებით. პასკალი შესანიშნავი მაგალითია ერთ და იგივე ადამიანში ღრმა მეცნიერებასთან მზგავსივე ღრმა სარწმუნოების შეწყობისა. საფრანგეთის მათემატიკოსმა შეიტყო ყველა საიდუმლოება მისი თანამედროვე მეცნიერებისა და ფართოდ შეუწყო ხელი მის მომავალ წარმატებას, მაგრამ ნაცვლად საცოდავი იქვსა, რომელშიაც აგდებს ზოგიერთ ცრუ-ბრძენს სწავლითზვაობა, პასკალმა თავისი ფართო ცოდნიდან შეიძინა ერთი მხოლოდ ახალი ურყველი დარწმუნება სახარების სწავლის ღვათებრივობაში. „სახარება, სწერს პასკალი, ანუგეშებს ადამიანს რა მდგომარეობაშიც და რაგვარ პირობებშიც უნდა იყოს იგი. ქრისტე იზიდავს თავისკენ მთელს კაცობრიობას. ქრისტეს სწავლის უმისოდ არაფერი ვიცით და ვერაფერს ვხედავთ; უმისოდ ჩვენთვის ყველაფერი ბნელია და არეგ-დარეული, როგორც ღვთის შორის, ისე თვით ჩვენშიაც. ქრისტეს სწავლის უმისოდ ადამიანს ექნება ბიწი და უბედურება, ცთობა, წყვდიადი, სასოწარკვეთილება და სიკვდილი. ქრისტეს სწავლის შესრულებით კი ადამიანს შეუძლიან განთავისუფლდეს ამათგან, ქრისტეშია მთელი ჩვენი სათნოება და ნეტარება. ქრისტეს სწავლის უმისოდ ადამიანები ერთმანეთს შესჭამდენ, ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და განიხრწნებოდა“<sup>1)</sup>

უდიდესი ფილოსოფოს—მათემატიკოსთაგან ნიუტონი (1644—1727), აღმომჩენი მიზიდულობის კანონისა, ერთგული და მდაბალი მკითხველი იყო ბიბლიისა: ის ისე არ ახსენებდა ღმერთს, ქუდი არ მოეხადა. ნიუტონმა სთარგმნა დანიელის წინასწარმეტყველება და აპოკალისისი. ამ თარგმანში მან გამოხატვა თავისი რწმენა ზესთა-ბუნებურ განცხადებისა, სასწაულთა და წინასწარმეტყველებათადმი. „ჩვენ გვაქვს, ამბობდა დიდი ნიუტონი,—მოსე, წინასწარმეტყველნი და მოციქულნი, თითქმის თვით იესო ქრისტეს

<sup>1)</sup> А. И. Орловъ крану, ученіи В. Паскаль. Его жизнь и труды, м. 1889.

\* იხ. „შინ. საქმ.“ № 29.

სიტყვაც. თუ არ გვინდა დავეთანხმოთ მათ, ვგზომ მცირე საბოდიშო გვაქვს, როგორც ვბრავლებს! \*)

მივექცეთ ახლა ისტორიკოსებს.

ლ. რანკე სწავლული ისტორიკოსია, დამფუძნებელი ახალ ისტორიულ მიმართულებას, რამაც დაუფასებელი სამსახური გაუწია თანამედროვე კაცობრიობას († 1886 წ.). მიხი ცხოვრების აღმწერი გუგლია გვამცნებს, რომ, როცა მას სიკვდილი მოუახლოვდა, მთელი თავისი იზრი მიაქცია სოფლის ამაოებისგან საუკუნოსადმი და ხმამალა აკითხებდა თავისთვის ბიბლიას; უკნასკნელად ითხოვა, წაეკითხათ მისთვის ფსალმუნი 125: „რაჟამს მოაქცია უფალმან ტყვე სიონისა, ვიქმნენით ჩვენ ნუგეშინისცემულ. მაშინ აღივსო სიხარულითა პირი ჩვენი და ენა ჩვენი გალობითა“

დიდათ განთქმულმა შესანიშნავმა ინგლისელმა ისტორიკოსმა ტომას კარლიელმა (1795 1881), რომელმაც დიდი გავლენა იქონია საერთოდ ინგლისის განებრივ განვითარებაზე, ერთხელ უთხრა თავის მეგობარს, ისე მიყვარსო ბიბლიის სიტყვები, როგორც დედამ ოდესღაც შემაყვარა იგინო.

ცნობილი ნემეცი ისტორიკოსი იოგ. მიულერე (1752—1806) თვისი სამეცნიერო შრომის დროს სწერდა 1782 წ. თავის მეგობარს კარლოს ბონეტს, რომელსაც მანამდე არ ეთანხმებოდა სარწმუნოებრივ მხედველობაში: „გიყვარებარ ჩემო ძვირფასო და პატივცემულო მეგობარო, მაგრამ განა კიდევ უფრო არ შემიყვარებ, როცა შეიტყობ, რომ ამ დროიდან არაფრით არ ვიქნებით გაყოფილი? მას აქით, რაც კასელში ვარ, ვკითხულობ ძველ მწერლებს ქრონოლოგიურ რიგზე და ამოვიწერავ ხოლმე იქიდან, როცა მაცვიფრებს შესანიშნავი რამე. არ ვიცი რისთვის, ორი თვის წინეთ განვიზრახე ახალ-აღთქმის წაკითხვა,

სანამ შეუდგებოდი იმ საუკუნის შესწავლას, როცა იგი დაიწერა. როგორ აგიწეროთ ის, რაც იქ ვიპოვე! მრავალი წელი არ წამიკითხავს იგი და სანამ ახლა ხელში ავიღებდი, წინაგანზრახული ვიყავ მის წინააღმდეგ. ნათელი, რომელმაც დააბრმავა წმ. პავლე, დამასკოდ მიმავალი, არ იქნებოდა უფრო საოცარი ჭ საცვიფრო იმისთვის, ვიდრე ჩემთვის, როცა უცებ ავხსენი აღსრულება ყველა ნუგეშისა, უღიადესი სისრულე ფილოსოფიისა, ყოველივე ცვლილება ფიზიკურ და ზნეობის ქვეყანაში, სიცოცხლე ღუგდავება. დაეინახე, რომ უუსასწაულებრივესი შესრულდა უუბრალოესი საშვალებით. შევნიშნე დამოკიდებულება ყველა ცვლილებისა ევროპასა და აზიაში ამ საცოდავ ხალხთან, რომელსაც მიეცა აღთქმა მზგავსად იმისა, როგორც აბარებენ საყურადღებო ქალაქს ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია არც წაკითხვა მისი და არც გაყალბება. დაეინახე, რომ სარწმუნოება (ქრისტიანულია) გამოჩნდა მისთვის ფრად მარჯვე წამს და ამასთან ისეთი გზით, რომლითაც ყველაზე უფრო შეძლებოდა მისი მიღება. მთელი ქვეყანა, სჩანდა, მიმართული იყო ერთად-ერთ მიზნისადმი— ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისადმი და თუ ეს სარწმუნოება ღვთაებრივი არ არის, მე სრულებით არაფერი მესმის. ამაზე მე არც ერთი წიგნი არ წამსკითხავს, მაგრამ აქამდე ვსწავლობდი რა ძველ დროებს, ყოველთვის ვგრძნობდი რაღაც ნაკლს და მხოლოდ, როცა ვიცანი უფალი— ყველაფერი ცხადი შეიქმნა ჩემთვის; ქრისტესთან ერთად ჩემთვის არაფერია აუხსნელი“.

ცნობილი ბერლინელი პროფესორი-ისტორიკოსი და წვერი პრუსიის სამეცნიერო აკადემიისა ა. გარნაკი ბიბლიის შესახებ ამბობს: „როგორი სიკეთე მოუტანა ეკლესიას ამ წიგნმა! მან შეუდარებელი გავლენა იქონია ცხოვრებასა და აპოლოგეტიკაზე, როგორც წიგნმა დარიგებისა, ნუგეშინისცემისა, სიბრძნისა და რჩევისა რომელი სარწმუნოება, რომელსაც კი შეხვდა ქრისტიანობა ბერძნულ-რომაულ ნიადაგზე, დაიქადებდა მზგავს ქონებას?“.

\*) იხილეთ E. Пфениндорфа, Христось въ соврем. дүховной Жизни: Естествоиспытатели, какъ свидѣтели о Богѣ.

პროფესორი ისტორიისა ნ. ა. ასტაფიევი (1825—1906 წ.წ.), რომელიც გართული იყო ასსირო-ბაბილონური სიძველით, ბიბლიის მნიშვნელობაზე სწერს: „თითოეული კაცისათვის, როგორც მთელი ერისათვის ცხოვრების კითხვაა—როგორ აყენებენ ბიბლიას. მაღლა თუ დაბლა? ზეციურ წარმომავლობას მიაწერენ მას თუ ქვეყნიურს? თუ ქვეყნიურს... თუ ისე უყურებენ მას, როგორც ადამიანის ქუთის ნაწარმოებს, ეს ყველაფერს დააჩნდება, —ყველაფერი ვიწროვდება: მომავალი მოკლდება, დიდ-სულოვანი გაღმოცემანი იკარგებიან, ზნეობრივი გრძნობა ჩლუნგდება; მხოლოდ მსახურება მამონისადმი ფართოვდება და მაღლდება.“

სხვა გვარ სურათს წარმოადგენს ის ხალხი, სადაც ბიბლია მაღლად უჭირავთ, როგორც ღვთის სიტყვა, სადაც იგი სამაგიდო წიგნია თითოეულ ოჯახში, —როგორც დარბაისელთა დარბაზში, ისე საწყლის ქობშიაც; სადაც ყოველ დღე ამოაქვთ „წყალი ცხოველი“ ამ წყაროსაგან ცხოვრებისა და „ღლე და ღამე ზრახვენ სჯულსა ღვთისასა. „და იყოს ასეთი კაცი, ასეთი ხალხი, სიტყვისაებრ მეფსალმუნისა, — ვითარცა ხე, დაწერგული თანწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა, და ფურცელნი მისნი არა დასცივივენ, და ყოველივე რაცა ჰყოს: წარემართოს მას“. (ფსალ. 1, 2—3).

„ჰოი ძვირფასი სიტყვა ღვთისა! — ასე ათავენს პროფესორი თავის აზრს ბიბლიის შესახებ: „მას შევეყვართ მაღლიანს ერთობაში მასთან, ვისგანაც იგი გამოვიდა; იგია საფუძველი ჩვენი სასოებისა. რაოდენ უფრო ვერთობით საღმრთო წერილის კითხვაში, იმდენად უფრო გვიყვარს და ვაფასებთ მას: მაღალი და ერთგული მკითხველი იცნობს მასში კეშმარტად და არსებითად ღმერთსა და თავის მაცხოვარს და ასეთ ცოდნაშია ჩვენი ხსნა“. \*). (შემდ. იქნ.) თნ. მწიბრი.

# პროვინცია.

დ. ხონი (ქვემო იმერეთი). ყველა ჩვენგანმა არგათუნდა იცოდეს ის, თუ როგორ ათელება ხან და ხან ზოგიერთი კეთილსაიმედო ადამიანის ზიროვნება ხალხში, ისეთ ადამიანის, რომელიც თავისი კეთილი მუშაკობით ბევრ რამ სარგებლობას იწენს დაუძღურებელი ერისადმი.

არაის ისეთი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც თავიანთ საკუთარ ძალ-ღონეს არ იმუშრებენ არავითარ შემთხვევაში, რომ ბედ-შავი, რომელიც გადაშენების გზას ადგია—ისინან უბედურებისაგან, თავდა აუხილან და განათლების სხავი შეიტანონ ხალხში.

ასეთ საზოგადო მოღვაწეთ უნდა ჩაითვალას ხონში მცხოვრები ვინმე ბატონი ათანასე ანტონის ძე წიფწივადე, რომელსაც დიდა დევაწლი მიუძღვის ამ სოფლისადმი განსაკუთრებით, სადაც იგი ცხოვრობს. მისი თაობით აკებულ იქნა ადახ ხონში მთავარანგელოზის ეკლესია, რომელზედაც დიდი შრომა და დევაწლი აქვს მიღებული. გაიარა რამდენიმე წელსა მას შემდეგ და ბ წიფწივადის მეთაურობით აღშენდა იმავე ეკლესიის ეზოში სამრევლო სკოლა რომელზედაც დაიხარჯა არა ნაკლები 700 მანეთისა.

სკოლას სახურავი შემოაკლდა, სკოლაში სწავიდა, ისე როგორც გარეთ. სამოსწავლო საბჭომ უურადღება არ მაქცია მას, როგორც ამბობდ საშუალების უქონლობის გამო. აქაც ბ წიფწივადემ ითავა და სკოლა დახურა, რაზედაც დაიხარჯა ხუთ თუმანზე მეტი. ამ ჟამთ სკოლაში განადგურდა სწავლა რომელშიდაც სამოცზე მეტი მოწაფეა. სწავლა, ნორმალურ კალანობშია ჩაუენებული. მასწავლებლად ამ სკოლისა არის ძლიერ გაწრთუნალი და მარჯვე ადამიანი—სამოს მარკოზის-ძე ბახტაძე, რომელიც თავ-დადებულათ შეცადინებოს სკოლაში. მაგრამ მიუხედავთ ამისა იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭო ცოტა უურადღებას აქცევს ამ სამკალითო მასწავლებელს და ჯერ ერთა გროში შრომის ვიღდით არ მიუციათ მისათვის.

იცვალენ დრონი—ვიცნათ ყველამ, თუ როგორ გაგებრადდა გული ხალხს ღმერთზედ და სარწმუნ-

\*) Посошіе къ разумному чтенію библіи. М. 1899, стр. 49.

სიუბსიდ. აი, ამ დროს სარწმუნოების ქადაგების ასპარეზზედ გამოდის ბ. ათ. ინტ. წიგწივადე; კრებს ხალხს უოკელ-კვირა უქმე დღეებში და ჰქადაგებს ღმერთზე და სარწმუნოებაზე.

წარსულ 1908 წელს ბ. წიგწივადემ უოკლად სამღვდელთა გიორგისაც კი მიმართა თხოვნით, ნება დართო მისთვის ათიციადურად ქადაგნა ხალხში ქრისტიან სულით, მაგრამ უოკლად სამღვდელთა ვარი განუცხადა, რადგან მას განათლების ცენზი არ უწევდა ხელს.\*)

აი, ასეთი ღვაწლი მიუძღვის ბ. ათანასე წიგწივადეს დღემდის და ვუსურებთ მას მომავალისათვის განგებდეს თავისი კეთილი მოღვაწეობა ხალხში და არ დაწყუფდეს სულიერათ.

აქვე საჭიროთ მიმართა დავიძინო, რომ ეს სამი წელია, რაც ბ. ათ. ინტ. წიგწივადე ხონის მთავარ-ანკელის სამრევლო სკოლის მძრუნეღათ არის დანიშნული და ის უფლის ამ სკოლას, როგორც თავის ღვაწლ შვილს.

1909. წ.

სპეტაკი.

### კვირიღამ კვიროზამელე.

კახ. „ზაჯაგაზი“ გადმოგვცემს: ამ დღეებში თბილისში, ვიღაც კაზიტანი ბენიგენი ლექციას წაითხეს შესახებ მეორეთ მოსულისა და ქვეყნის აღსასრულის 1932 წელში. (?).

ბ. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, როგორც ამბობენ, დაშასურებული დეკანოზი ბ. დ. დამბაშიძე 500 მანეთით დაუჯარიმებიათ და განკარგულებაც სისრულეში მოუყვანათ მათ, რომ მისა მოძრავი ქონება აუქციონით გაუედიათ. დაწერილებით ვერაფერი გავიკეთ.

უოკლად სამღვდელთა გიორგი 6 ნოემბერს სანსერეში წაბრძანდა.

ქართლ-კახეთის ეპარქიაში განკარგულებს მოუხდენათ სამღვდელთა კანდიდატებს სამსწავლელთა მოწმობაც უნდა ჰქონდეს.

\*) ხეცვენოდეთ მამებს

ლედ.

ქუთაისში წელის გამოყვანის საქმემ, შკანი, საუკუნოდ დაიძინა. გასაკვირველი არ არის ჩვენი ქადაგის თავების სელში, კარგი ნაწინა იცინა!

1 ნოემბერს მხდა ქ.თბილისში კრება საქართველოს გეოგრაფიულ-ეტიმოლოგიული საზოგადოების ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ წევრები და კარეშენიც. წევრმა ს. გიორგაძემ წააკითხა რეფერატი მირიან მეფის შესახებ. მთავარი აზრი რეფერატისა იყო მირიანის ვინაობა. აქამდის გაშეფუთული იყო ქართველ მეცნიერთა შორის ის აზრი, რომ მირიან მეფე იყო დაყენებული ქართლში მეფედ სპარსელიაგან და ეკუთნოდა სპარსთა დინასტიას. ეს ცნობა ტრადიციულია და დაფუძნებულია „ქართლის ცხოვრების“ თქმულებაზე. რეფერატმა საზოგადო მოთვლით ისტორიის და სხვა წყაროების შემწეობით წარმოსთქვა ის აზრი, რომ მირიანი იყო ქართველი და წარმომადგენელი ქართული დინასტიისა; იყო ფასილი რომისა, რომელ დიპლომატიკისგან მიიღო სამეფო ნიშნები. სპარსეთთან მის არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია და არც შეეძლო ჰქონოდა მაშინდელი საქრთველორისა და პოლიტიკური მდგომარეობის გამო. რეფერატმა გამოიწვია კამათი. ჩვენი ისტორიის ბირველი საუკუნეები წვედით არის მოცული და უოკელივე ცდა მის გამოსარეკვლად და შუქის მისაფენად უნდა ჩაითვალოს სასიამოვნოდ.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამდლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

**ვაგზალებ**  
**სამღვდელთა სალიაპონი**  
**საგნებში,**  
ავრეთე, სამასწავლებლო-  
ეგზემენის ასალებად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17.